დანართი №1

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური
ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება
შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
24. 11. 22
დასკვნის წარდგენის თარიღი
20.01.23

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 11

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 11

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 21

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 28

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 33

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 42

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	**შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი**
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	**206169304**
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო პოპიაშვილი, სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ზაალ კიკვიძე, სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქრისტინე ჩიხლაძე, სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ხუბულია, სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	ქართული ფილოლოგია
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	**Georgian Philology**
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	**ქართული ფილოლოგიის ბაკალავრი** **Bachelor of Georgian Philology**
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	**ლიტერატურა და ლინგვისტიკა 0232**
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3]	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული N776, 11.12.2012
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	-

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

[3] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**[4]

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამას 2012 წლის 11 იანვარს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს N776 გადაწყვეტილებით მიენიჭა აკრედიტაცია. პროგრამა რამდენჯერმე გადამუშავდა, განახლდა კანონმდებლობის, აკრედიტაციის სტანდარტების და სხვა მიმართულებებით, მათ შორის, შრომისა და დასაქმების ბაზრის მოთხოვნების, დაინტერესებული მხარეების ჩართულობის, კურსდამთავრებულთა რჩევების შესაბამისად.

ქართული ფილოლოგიის მიზანია, მოამზადოს ქართული ენისა და ლიტერატურის მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, რომელიც აღჭურვილი იქნება არა მხოლოდ პროფესიული ცოდნით, არამედ ფართო ერუდიციითაც, ინტელექტით, ჰუმანიზმითა და ტოლერანტობის გრძნობით, რაც მას დიდად შეუწყობს ხელს, გონივრულად დაგეგმოს თავისი საგანმანათლებლო პროფილი თუ კვლევითი საქმიანობა.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ - განათლების ხარსიხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების MES 6 22 0001461230 (16/11/2022) თანახმად, 2022 წლის 24 ნოემბერს შპს ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში შედგა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის შეფასების მიზნით შემდეგი შემადგენლობით: ნინო პოპიაშვილი, ზაალ კიკვიძე, ქრისტინე ჩიხლაძე, ნინო ხუბულია. ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მასალები და დაიწყო შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობა, ჩამოაყალიბა სავარაუდო შეკითხვები, რომლებიც დაისვა ინტერვიუს დროს პროგრამის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

ვიზიტის დროს შედგა შეხვედრები შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის პრეზიდენტთან, ვიცეპრეზიდენტთან, დეკანთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამების სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან.

დასასრულს უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხელმძღვანელობას წარედგინათ ვიზიტის ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები და ჯგუფის წევრების მიერ მიზანშეწონილად მიჩნეული ზოგადი რჩევები და რეკომენდაციები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

პირველი სტადარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეორე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

მესამე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეოთხე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეხუთე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- **რეკომენდაციები**

- რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგებში გასწორდეს შინაარსობრივი გადაფარვები მე-7 და მე-10 სწავლის შედეგებში.

- რეკომენდებულად მიგვაჩნია, გადაიხედოს კურიკულუმის რუკა და დაზუსტდეს თითოეულ სწავლის შედეგზე გამსვლელი კურსი დონეების მითითებით.
- რეკომენდებულია, არგუმენტირებული ნაშრომის შექმნის უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის განსაზღვრულ საგანში: "მეტყველების კულტურა: აკადემიური წერა", აისახოს აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პლაგიატის საკითხები.
- რეკომენდებულია, ფილოლოგიის დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად, პროგრამაში განისაზღვროს ლიტერატურის თეორიის სწავლება და აისახოს სწავლის შედეგებში.
- შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის შემადგენელი ორი სასწავლო კურსის - „მეტყველების კულტურა: საპრეზენტაციო უნარ-ჩვევები" (LIB 002) და „სალიტერატურო ენის ნორმალიზაცია-სტანდარტიზაცია" (LIB 137) - შინაარსი (თემატიკა) და მითითებული ძირითადი ლიტერატურა იმეორებს ერთმანეთს; რეკომენდებულია სათანადო შინაარსობლივი ცვლილებების შეტანა აღნიშნულ სილაბუსებში, რათა აღმოიფხვრას ეს დამთხვევები.
- რეკომენდებულია, საგანს „სოციოლინგვისტიკა" (GEO 016) ეწოდოს „სოციოლინგვისტიკის შესავალი;" ამას განაპირობებს მისი შინაარსი, რაც ასევე დაფიქსირებულია სილაბუსში ჩამოთვლილ სასწავლო კურსის მიზნებს შორის: „გააცნობიერებინოს დისციპლინის შესავალი კურსი."
- რეკომენდებულია, „სოციოლინგვისტიკის" (GEO 016) სასწავლო კურსის სილაბუსში არ იყოს მითითებული ისეთი რესურსები, რომლებიც ერთი მხრივ, სტუდენტებისათვის ხელმიუწვდომელია ენის შესაძლო არცოდნის გამო, ხოლო მეორე მხრივ, არის ფართო სამეცნიერო წრეში არაღიარებული ინფორმაციის შემცველი. ასეთებია: www.krugosvet.ru და http://www.rsuh.ru/article.html?id=398
- რეკომენდებულია, შეიქმნეს საგამომცემლო საქმის შესაბამისი სასწავლო კურსი და შეივსოს ტექსტის რედაქტირებასთან ერთად საგამომცემლო საქმის შესაბამისი თემატიკით, ან პროგრამის მიზნებიდან და სწავლის შედგებიდან ამოღებულ იქნეს აღნიშნული ჩანაწერი.
- რეკომენდებულია გაიზარდოს რეცენზენტის ქულობრივი წილი შეფასებაში, ხოლო ხელმძღვანელის ქულობრივი წილი დაყვანილ იქნას მინიმუმამდე, ან გაუქმდეს.
- რეკომენდებულია, ერთის მხრივ, პროგრამის სწავლის შედეგების მოდიფიცირებისთვის, ხოლო მეორე მხრივ, მათი შეფასების მიზნით შემუშავებულ დოკუმენტებში არსებული შინაარსობრივი უზუსტობებისა და შეუსაბამობების

გასწორების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელდეს სამუშაო შეხვედრები პროგრამის ხელმძღვანელთან და შედეგებზე გამსვლელი სასწავლო კურსების განმახორციელებლებთან, რათა მოხდეს არსებული ხარვეზების გამოსწორება.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - სასურველია, არგუმენტირებული ნაშრომის შექმნის უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის განსაზღვრული საგნის: "მეტყველების კულტურა: აკადემიური წერა", სწავლება მოხდეს ელექტრონული პლატფორმის ჩართულობით, რომლითაც მოხდება ნაშრომის შემოწმება პლაგიატის ამომცნობი სისტემით.
  - სასურველია, სასწავლო კურსებში მოცემული სავალდებულო და არჩევითი ლიტერატურის მოცულობა შეესაბამებოდეს სტუდენტის კვირეულ დატვირთვას.
  - სასურველია, სასწავლო კურსი "ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა" ამოღებული იყოს პროგრამიდან, რადგან განკუთვნილია პედაგოგიკის დარგისათვის და არ შეესაბამება ქართული ფილოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს.
  - სასურველია, პროგრამის მიზნებიდან, შედეგებიდან და პროგრამით განსაზღვრული დასაქმების სფეროდან გამომდინარე, სტუდენტებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, პრაქტიკა გაიარონ კულტურის სფეროში, საგამომცემლო და მასობრივი ინფორმაციის დაწესებულებებში, სამეცნიერო-კვლევითი პროფილის მქონე ორგანიზაციებში და სხვ.
  - სასურველია, პროგრამის სწავლა-სწავლების მეთოდების ჩამონათვალიდან დაწესებულებამ ამოიღოს დისტანციური სწავლების მეთოდი.
  - სასურველია, რომ გაიზარდოს პარტნიორი უნივერსიტეტებისა და დაწესებულებების რაოდენობა.
  - სასურველია, გარე შემფასებლების მიერ სამომავლოდ პროგრამის განვითარებისა და დარგისთვის რელევანტური, თუნდაც განსხვავებული ან/და ორიგინალური ხედვების ასახვის მიზნით პროგრამა, მისი მიზნები, სწავლის შედეგები, კურიკულუმი, სასწავლო კურსები და მათი განმახორციელებელი პერსონალის რეზიუმეები შესწავლილ იქნას უფრო დეტალურად.
  - სასურველია, ჩატარდეს მეტად ჩაღრმავებული შრომის ბაზრის კვლევა ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამისთვის, რაც პროგრამის გუნდს დაეხმარება დარგში არსებული თანამედროვე ტენდენციებისა და დამსაქმებლების საჭიროებების ასახვაში.
  - სასურველია, პროგრამის განხორციელებაში მონაწილე ყველა აკადემიური თანამდებობის პირი, რომელიც კითხულობს ქართული ფილოლოგიის დარგობრივ სასწავლო კურსებს, ფლობდეს შესაბამის აკადემიურ ხარისხს, ან/და უდასტურდებოდეს უახლესი კვლევები და პუბლიკაციები დარგთან მიმართებით.
  - სასურველია, განახლდეს აკადემიური და მოწვეული პირების პირადი მონაცემები უახლესი კვლევებით.

- სასურველია, პროგრამა გამრავალფეროვნებული იყოს დარგობრივი კურსებით, მათ შორის, დარგობრივი არჩევითი კურსებით, რათა გაძლიერდეს პროგრამის ძირითადი სასწავლო კურსებით მიღებული ცოდნა, უნარები და კომპეტენციები

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[5]**

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ უნივერსიტეტმა წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომელშიც გაზიარებულია ექსპერტების მიერ გამოთქმული რეკომენდაციების უმრავლესობა, ხოლო სამ რეკომენდაციასთან დაკავშირებით უნივერსიტეტს აქვს საკუთარი შეხედულება. კერძოდ:

„რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგები დაკონკრეტდეს და დაემყაროს ქართული ფილოლოგიის უმაღლეს დარგობრივ მახასიათებელს 3. 1. 1; 3. 1. 2; 3. 1. 3. ასევე, გასწორდეს შინაარსობრივი გადაფარვები მე-7 და მე-10 სწავლის შედეგებში“.

აღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით უნივერსიტეტი მიუთითებს, რომ პრორგამის სწავლის შედეგებში დიდწილად ასახულია ქართული ფილოლოგიის უმაღლესი დარგობრივი მახასიათებელი და მოჰყავს შესაბამისი ადგილები. ექსპერტთა აზრით, პროგრამის სწავლის შედეგების დიდი ნაწილი ნამდვილად ეყრდნობა ქართული ფილოლოგიის უმაღლეს დარგობრივ მახასიათებელს, ისევე, როგორც აღნიშნულია ექსპერტთა დასკვნაში, მიზნებისა და სწავლის შედეგების ნაწილში. თუმცა, პროგრამის სწავლის შედეგებში მაინც გვხვდება გარკვეული ხარვეზები, მაგალითად, სწავლის შედეგებში მე-7 და მე-10 სწავლის შედეგების პირველი ნაწილები დუბლირებულია. ასევე, პროგრამის სწავლის შედეგებით არ არის გათვალისწინებული ლიტერატურის თეორიის სწავლება. აღნიშნული რეკომენდაცია ექსპერტების მიერ მოდიფიცირდა და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

> რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგებში გასწორდეს შინაარსობრივი გადაფარვები მე-7 და მე-10 სწავლის შედეგებში.
>
> რეკომენდებულად მიგვაჩნია, გადაიხედოს კურიკულუმის რუკა და დაზუსტდეს თითოეულ სწავლის შედეგზე გამსვლელი კურსი დონეების მითითებით.

[5] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

აღნიშნული რეკომენდაცია სრულად გაზიარებულია უნივერსიტეტის მიერ.

რეკომენდებულია, არგუმენტირებული ნაშრომის შექმნის უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის განსაზღვრულ საგანში: "მეტყველების კულტურა: აკადემიური წერა", აისახოს აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პლაგიატის საკითხები.

აღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით უნივერსიტეტი მიუთითებს: „აღნიშნულ საგანში (მეტყველების კულტურა: აკადემიური წერა) მე-12 საკითხად გამოყოფილია - „ლიტერატურის ციტირების წესები ამერიკის ფსიქოლოგიის ასოციაციის სტანდარტის მიხედვით", რომლის სწავლებაც პლაგიატის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია". - ექსპერტების აზრით, აკადემკიური კეთილსინდისიერების საკითხის სწავლება ცალკე, დამოუკიდებელ თემად უნდა იყოს გათვალისწინებული იმ საგანში, სადაც აკადემიური ნაშრომის წერის სპეციფიკა ისწავლება, აუცილებელია. ასევე, ვფიქრობთ, რომ აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხი მიზანშეწონილია ისწავლებოდეს სასწავლო კურსის დასაწყისშიც.

რეკომენდებულია, ფილოლოგიის დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად, პროგრამაში განისაზღვროს ლიტერატურის თეორიის სწავლება.

აღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით უნივერსიტეტი მიუთითებს, რომ ლიტერატურის თეორიის საკითხები ისწავლება „ლიტერატურათმცოდნეობის" სასწავლო კურსში. თუმცა გასათვალისწინებელლია ის გარემოებაც, რომ სწავლის შედეგებში არ იყო აღნიშნული ლიტერატურის თეორიის სწავლების საკითხი, რაც დადგენილია უმაღლესი განათლების ფილოლოგიის დარგობრივი მახასიათებლით. შესაბამისათ, ექსპერტთა აზრით, მნიშვნელოვანია, ლიტერატურის თეორიის სწავლება გამოკვეთილი იყოს და აისახოს პროგრამაში სრულფასოვნად. რეკომენდაცია გადამუშავდა შემდეგნაირად:

რეკომენდებულია, ფილოლოგიის დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად, პროგრამაში განისაზღვროს ლიტერატურის თეორიის სწავლება და აისახოს სწავლის შედეგებში.

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის შემადგენელი ორი სასწავლო კურსის - „მეტყველების კულტურა: საპრეზენტაციო უნარ-ჩვევები" (LIB 002) და „სალიტერატურო ენის ნორმალიზაცია-სტანდარტიზაცია" (LIB 137) - შინაარსი (თემატიკა) და მითითებული ძირითადი ლიტერატურა იმეორებს ერთმანეთს; რეკომენდებულია სათანადო შინაარსობლივი ცვლილებების შეტანა აღნიშნულ სილაბუსებში, რათა აღმოიფხვრას ეს დამთხვევები.

უნივერსიტეტი სრულად ეთანხმება აღნიშნულ რეკომენდაციას.

რეკომენდებულია, საგანს „სოციოლინგვისტიკა“ (GEO 016) ეწოდოს „სოციოლინგვისტიკის შესავალი;“ ამას განაპირობებს მისი შინაარსი, რაც ასევე დაფიქსირებულია სილაბუსში ჩამოთვლილ სასწავლო კურსის მიზნებს შორის: „გააცნობიერებინოს დისციპლინის შესავალი კურსი.“

უნივერსიტეტი სრულად ეთანხმება აღნიშნულ რეკომენდაციას.

რეკომენდებულია, „სოციოლინგვისტიკის“ (GEO 016) სასწავლო კურსის სილაბუსში არ იყოს მითითებული ისეთი რესურსები, რომლებიც ერთი მხრივ, სტუდენტებისათვის ხელმიუწვდომელია ენის შესაძლო არცოდნის გამო, ხოლო მეორე მხრივ, არის ფართო სამეცნიერო წრეში არაღიარებული ინფორმაციის შემცველი. ასეთებია: www.krugosvet.ru და http://www.rsuh.ru/article.html?id=398

უნივერსიტეტი სრულად ეთანხმება აღნიშნულ რეკომენდაციას.

რეკომენდებულია, შეიქმნეს საგამომცემლო საქმის შესაბამისი სასწავლო კურსი და შეივსოს ტექსტის რედაქტირებასთან ერთად საგამომცემლო საქმის შესაბამისი თემატიკით, ან პროგრამის მიზნებიდან და სწავლის შედგებიდან ამოღებულ იქნეს აღნიშნული ჩანაწერი.

უნივერსიტეტი ეთანხმება რეკომენდაციას.
რეკომენდებულია გაიზარდოს რეცენზენტის ქულობრივი წილი შეფასებაში, ხოლო ხელმძღვანელის ქულობრივი წილი დაყვანილ იქნას მინიმუმამდე, ან გაუქმდეს.

უნივერსიტეტი სრულად ეთანხმება აღნიშნულ რეკომენდაციას.

რეკომენდებულია, ერთის მხრივ, პროგრამის სწავლის შედეგების მოდიფიცირებისთვის, ხოლო მეორე მხრივ, მათი შეფასების მიზნით შემუშავებულ დოკუმენტებში არსებული შინაარსობრივი უზუსტობებისა და შეუსაბამობების გასწორების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელდეს სამუშაო შეხვედრები პროგრამის ხელმძღვანელთან და შედეგებზე გამსვლელი სასწავლო კურსების განმახორციელებლებთან, რათა მოხდეს არსებული ხარვეზების გამოსწორება.

აღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით უნივერსიტეტი გეგმავს გააქტიუროს შეხვედრები და მუშაობა ამ მიმართულებით.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.
1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა 2012 წლიდან ფუნქციონირებს. პროგრამის მიზანია, მოამზადოს ქართული ენისა და ლიტერატურის მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, რომელიც აღჭურვილი იქნება არა მხოლოდ პროფესიული ცოდნით, არამედ ფართო ერუდიციითაც, ინტელექტით, ჰუმანიზმითა და ტოლერანტობის გრძნობით, რაც მას დიდად შეუწყობს ხელს, გონივრულად დაგეგმოს თავისი საგანმანათლებლო პროფილი თუ კვლევითი საქმიანობა. უნივერსიტეტის მიერ დეკლარირებულია ქართული ფილოლოგიის როგორც ზოგადჰუმანიტარული, ისე ეროვნული მნიშვნელობა. ამასთან, ქართული ფილოლოგიის კავშირი ისეთ სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვან საკითხებთან, როგორებიც არის: სალიტერატურო ენა, სახელმწიფო ენა, ენობრივი პოლიტიკა და სხვ.

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზნები შესაბამისია შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სტრატეგიასთან და მისიასთან. აღსანიშნავია ისიც, რომ ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის როგორც მისიის განაცხადი, ისე მისი საქმიანობა ზოგადად ემყარება დასავლურ დემოკრატიულ სივრცეში აღიარებულ ფუნდამენტურ ღირებულებებს.

უნივერსიტეტი მიუთითებს, რომ ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის შემუშავების დროს ჩატარდა ბაზრის ზოგადი კვლევა, სადაც გათვალისწინებული იყო როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ტენდენციები დასაქმების მიმართულებით. პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებული იყო აგრეთვე უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა.

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზნები, შეესაბამება საბაკალავრო საფეხურს. ითვალისწინებს ქართული ფილოლოგიის უმაღლეს დარგობრივ მახასიათებელს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის მისია;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა;
- ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სილაბუსები;
- შრომის ბაზრის ანალიზი;
- უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა;
- ქართული ფილოლოგიის უმაღლესი განათლების მახასიათებელი ;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	☒	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომელსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას. სწავლის შედეგები არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური, შეესაბამება საბაკალავრო პროგრამის საფეხურს, ამასთან, შეესაბამება ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამმთავრებბულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე გადასვლის შესაძლებლობას.
პროგრამის სწავლის შედეგები ფართოდ განიხილავს და აზუსტებს ქართული ფილოლოგიის დარგის სწავლის შედეგებს. პროგრამის სწავლის შედეგებში წარმოდგენილია ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საფეხურისათვის შესაბამისი მრავალმხრივი ინფორმაცია. პროგრამას აქვს გაწერილი ათი შედეგი, თუმცა თავის მხრივ, პირველ შედეგში გაწერილია ქვეათი შედეგი, სადაც 8 შედეგი ეხება ქართული ენის, ენათმეცნიერების საკითხეს, ხოლო 2 შედეგი ქართული ლიტერატურისა და ლიტერატურათმცოდნეობის საკითხებს. მეორე შედეგი თავის მხრივ შეიცავს ექვს ქვეშედეგს, სადაც ხუთი შედეგი ეხება ენის საკითხებს, ხოლო ერთი შედეგი ეხება ლიტერატურის საკითხს.
მიუხედავად ამგვარი ფართო სწავლის შედეგებისა, ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგებში არ არის წარმოდგენილი ლიტერატურის თეორიის სწავლების საკითხი. (იხ. დარგობრივი მახასიათებელი 3. 1; 3. 1.1; 3.1.2; 3.1.3). ამასთან, მე-7 და მე-10 სწავლის შედეგებს შორის შინაარსობრივი გადაფარვებია. კერძოდ, მეშვიდე სწავლის შედეგის პირველი ნაწილი და მეათე სწავლის შედეგის პირველი ნაწილი სრულად იდენტურია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სილაბუსები;
- შრომის ბაზრის ანალიზი;
- უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა;
- ქართული ფილოლოგიის უმაღლესი განათლების მახასიათებელი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგებში გასწორდეს შინაარსობრივი გადაფარვები მე-7 და მე-10 სწავლის შედეგებში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	☐	☒	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდები. პირდაპირი შეფასების მეთოდებია: წერითი გამოცდა, ზეპირი გამოკითხვა, პროექტი, პორტფოლიო, თეზისი, პრეზენტაცია, იმიტირებული პროცესი და სხვა. არაპირდაპირი შეფასების მეთოდებია: დამსაქმებლების/კურსდამთავრებულების/ სტუდენტების გამოკითხვა, შედარება მსგავს ინსტიტუციებთან, კურიკულუმის ანალიზი და სხვ.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიზნით შემუშავებულია კურიკულუმის რუკა, სადაც მითითებულია თითოეულ სწავლის შედეგზე გამსვლელი სავალდებულო სასწავლო კურსი შესაბამისი გამსვლელი დონით. ასევე, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის დოკუმენტში იდენტიფიცირებულია სამიზნე ნიშნულები, სწავლების მეთოდი და შეფასებითი აქტივობა რითიც ხდება სწავლის შედეგის მიღწევა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კურიკულუმის რუკა საჭიროებს გარკვეული ტიპის მოდიციფირებას. კერძოდ, რუკაში ზოგიერთი სწავლის შედეეგისთვის (მაგ., მე-8 და მე-10) არ ჩანს თუ რომელი სასწავლო კურსებით ხდება მათი გაცნობა ან/და გაღრმავება. ამასთან, გადასახედია სწავლის შედეგზე გამსვლელი კურსების შესაბამისობა. სახელდობრ, მე-5 სწავლის შედეგზე, რომელიც გულისხმობს ნებისმიერი სახის/დანიშნულების ტექსტის გამოსაცემად მომზადებას, რედაქტირება-კორექტურას, არ გადის ისეთი სასწავლო კურსები, როგორიცაა "ფონეტიკა-ფონოლოგია", "მეტყველების კულტურა: საპრეზენტაციო უნარ ჩვევები". ამ სწავლის შედეგზე გამსვლელი სასწავლო კურსი, როგორიც შეიძლება იყოს საგამომცემლო საქმე, არ არის კურიკულუმში მოცემული. რეკომენდებულად მიგვაჩნია გადაიხედოს კურიკულუმის რუკა და დაზუსტდეს თითოეულ სწავლის შედეგზე გამსვლელი კურსი დონეების მითითებით.

საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას. კერძოდ, სწავლის შედეგის სამიზნე ნიშნულია აკადემიური მიღწევის ნორმალური მაჩვენებელი, ამიტომ სწავლის შედეგის მიღწევის აღნიშნული დიაპაზონიდან 20%-იანი გადახრის შემთხვევაში, სასწავლო კომპონენტის სპეციფიკიდან გამომდინარე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციის საფუძველზე გადაიხედება საგანმანათლებლო პროგრამის/სილაბუსის სწავლის შედეგები და მისი მიღწევის გზები, როგორებიცაა სასწავლო კომპონენტისთვის მინიჭებული კრედიტის მოცულობა; საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების გადანაწილება; სწავლა/სწავლების მეთოდები; სასწავლო კომპონენტის თემატიკა; სავალდებულო ლიტერატურის სირთულე და მოცულობა; შეფასების სისტემა და კრიტერიუმები; ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობა და სხვ.

უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებულია საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა;
- თვითშეფასების აგარიში;
- ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სილაბუსები;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულად მიგვაჩნია, გადაიხედოს კურიკულუმის რუკა და დაზუსტდეს თითოეულ სწავლის შედეგზე გამსვლელი კურსი დონეების მითითებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	☐	☒	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა შედგება 240 კრედიტისაგან. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამა შედგენილია უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. სასწავლო კურსები წარმოდგენილია მარტივიდან რთულისკენ განვითარების პრინციპით და ემსახურება პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის შედგენა-შემუშავების პროცესში გათვალისწინებული იყო ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილება, პროგრამის ანალოგები, სტუდენტთა ინტერესი და სხვ. ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა შედგება სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კომპონენტებისაგან, პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტებისაგან, თავისუფალი კრედიტებისაგან.

პროგრამა მოიცავს:

1. ძირითადი სწავლების სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებს -135 კრედიტი;
2. ძირითადი სწავლების სფეროს არჩევით სასწავლო კურსებს - 57 კრედიტი;
3. თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსებს - 33 კრედიტი;
4. თავისუფალი კომპონენტის არჩევით სასწავლო კურსებს - 15 კრედიტი;
5. სავალდებულო საბაკალავრო კვლევით კომპონენტს: საბაკალავრო ნაშრომს - 9 კრედიტი, ან ჯგუფურ პროექტს - 6 კრედიტი;
6. სავალდებულო პრაქტიკულ კომპონენტს - 9 კრედიტი.

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში გათვალისწინებული ძირითადი სწავლების სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები 135 კრედიტი და ძირითადი სწავლების სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - 57 კრედიტი, უნდა უზრუნველყოფდეს ქართული ფილოლოგიის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევადობას. კერძოდ, მნიშვნელოვანია, სასწავლო კურსები დაეფუძნოს აღნიშნულ დოკუმენტს, რათა უფრო მეტად აისახოს ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამისათვის განსაზღვრული საკითხები: ქართველური ენათმეცნიერების ფართო ცოდნა, ლექსიკოლოგიისა და ლექსიკოგრაფიის ძირითადი თემები, ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის ძირითადი ასპექტების შესახებ და სხვ. პროგრამის სწავლის მიზნებში ასახულია: გამოუმუშაოს პრაქტიკული უნარები შემდეგი მიმართულებებით: ენათმეცნიერება, ლიტერატურათმცოდნეობა და საგამომცემლო საქმე. საგამომცემლო საქმის უნარ-

ჩვევებისათვის საჭირო საგანი პროგრამაში არ გვხვდება. მნიშვნელოვანია, პროგრამა გამრავალფეროვნებული იყოს დარგობრივი კურსებით, მათ შორის, დარგობრივი არჩევითი კურსებით, რათა გაძლიერდეს პროგრამის ძირითადი სასწავლო კურსებით მიღებული ცოდნა, უნარები და კომპეტენციები. აღსანიშნავია ისიც, რომ უნივერსიტეტში ვიზიტის დროს დაისვა საკითხი პროგრამის დარგობრივ მახასიათებელთან კავშირის შესახებ. დაწესებულების განმარტებით, პროგრამის ძირითადი ნაწილი შემუშავდა ქართული ფილოლოგიის დარგობრივი მახასიათებლის შექმნამდე. შესაბამისად, პროგრამის სტრუქტურასა და შინაარსში შესატანია გარკვეული ცვლილებები. დეტალურად იხ. 1.5.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, ფილოლოგიის დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად, პროგრამაში განისაზღვროს ლიტერატურის თეორიის სწავლება და აისახოს სწავლის შედეგებში.
- რეკომენდებულია, შეიქმნეს საგამომცემლო საქმის შესაბამისი სასწავლო კურსი და შეივსოს ტექსტის რედაქტირებასთან ერთად საგამომცემლო საქმის შესაბამისი თემატიკით, ან პროგრამის მიზნებიდან და სწავლის შედგებიდან ამოღებულ იქნეს აღნიშნული ჩანაწერი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პროგრამა გამრავალფეროვნებული იყოს დარგობრივი კურსებით, მათ შორის, დარგობრივი არჩევითი კურსებით, რათა გაძლიერდეს პროგრამის ძირითადი სასწავლო კურსებით მიღებული ცოდნა, უნარები და კომპეტენციები

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	☐	☒	☐	☐

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში შემოთავაზებული სასწავლო კურსები ძირითადად, უზრუნველყოფს ქართული ფილოლოგიის დარგში საბაკალავრო პროგრამით განსაზღვრული კომპეტენციების მიღწევას. სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა გარკვეულწილად შეესაბამება ფილოლოგიის დარგს, სასწავლო კურსების ნაწილში წარმოდგენილია თანამედროვე ლიტერატურა, თუმცა გვხვდება დასაზუსტებელი საკითხები.

სასწავლო კურსი, „მეტყველების კულტურა: აკადემიური წერა“ არ არის გათვალისწინებული პლაგიატისა და აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხები. ასევე, აღნიშნული სასწავლო კურსის შინაარსის სწავლებისას არ არის გათვალისწინებული ელექტრონული სასწავლო პლატფორმით სტუდენტების ნაშრომების შემოწმების საკითხი.
სასწავლო კურსების ნაწილში სავალდებულო და არჩევითი ლიტერატურა არ არის გამიჯნული, ასევე, შეთავაზებულია კვირეული დატვირთვისათვის შეუსაბამოდ ბევრი

ლიტერატურა. სასწავლო კურსი: "ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა" არ შეესაბამება დარგობრივ მახასიათებელს და სცილდება პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსებში არ გვხვდება ლიტერატურის თეორიის საკითხების დასაუფლებელი საგანი. სასწავლო კურსების ნაწილში თემატიკა მეორდება. კერძოდ, პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებს შორის წარმოდგენილია ორი სილაბუსი: „მეტყველების კულტურა: საპრეზენტაციო უნარ-ჩვევები" (LIB 002) და „სალიტერატურო ენის ნორმალიზაცია-სტანდარტიზაცია" (LIB 137); ორივე სავალდებულოა; პირველი მათგანი იკითხება პირველ სემესტრში, ხოლო მეორე - მერვე სემესტრში; პირველ მათგანს წინაპირობა არ აქვს, ხოლო მეორესთან რამდენიმე წინაპირობაა მითითებული: თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია (I-II); თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი (I-II). მიუხედავად ასეთი განსხვავებებისა, ორივე სილაბუსში სრულად ემთხვევა ერთმანეთს შემდეგი თემები: 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8; თემა 9 (LIB 002) და თემა 10 (LIB 137), თემა 10 (LIB 002) და თემა 11 (LIB 137), თემა 11 (LIB 002) და თემა 12 (LIB 137), თემა 12 (LIB 002) და თემა 13 (LIB 137), თემები 13 და 14 (LIB 002) და თემა 14 (LIB 137). ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ იდენტურია არა მარტო თემატიკა, არამედ მათი ფორმულირებები და ძირითადი ლიტერატურაც მითითებული გვერდებითურთ. სააკრედიტაციო ვიზიტისას გამართული გასაუბრების დროს სასწავლო კურსის ავტორმა განაცხადა, რომ იგი დამატებით უთითებს სამეცნიერო ლიტერატურას, რაც, მისივე სიტყვებით, წარმოადგენს კიდეც განსხვავებას ამ ორ სასწავლო კურსს შორის.

„სოციოლინგვისტიკის" (GEO 016) სასწავლო კურსის სილაბუსში ყველა თემასთან დაკავშირებით მითითებულია თითქმის ერთი და იგივე ლიტერატურა; მათ შორისაა ორი რუსულენოვანი საიტი, მაშინ როცა ამ პროგრამის სტუდენტებისათვის სავალდებულო წინაპირობას არ წარმოადგენს რუსული ენის ცოდნა. ამასთან, საიტზე განთავსებული ინფორმაცია არ არის გაზიარებული სამეცნიერო წრეების მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, არგუმენტირებული ნაშრომის შექმნის უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის განსაზღვრულ საგანში: "მეტყველების კულტურა: აკადემიური წერა", აისახოს აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პლაგიატის საკითხები.
- შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის შემადგენელი ორი სასწავლო კურსის - „მეტყველების კულტურა: საპრეზენტაციო უნარ-ჩვევები" (LIB 002) და „სალიტერატურო ენის ნორმალიზაცია-

სტანდარტიზაცია“ (LIB 137) - შინაარსი (თემატიკა) და მითითებული ძირითადი ლიტერატურა იმეორებს ერთმანეთს; რეკომენდებულია სათანადო შინაარსობლივი ცვლილებების შეტანა აღნიშნულ სილაბუსებში, რათა აღმოიფხვრას ეს დამთხვევები.

- რეკომენდებულია, საგანს „სოციოლინგვისტიკა“ (GEO 016) ეწოდოს „სოციოლინგვისტიკის შესავალი;“ ამას განაპირობებს მისი შინაარსი, რაც ასევე დაფიქსირებულია სილაბუსში ჩამოთვლილ სასწავლო კურსის მიზნებს შორის: „გააცნობიერებინოს დისციპლინის შესავალი კურსი.“

- რეკომენდებულია, „სოციოლინგვისტიკის“ (GEO 016) სასწავლო კურსის სილაბუსში არ იყოს მითითებული ისეთი რესურსები, რომლებიც ერთი მხრივ, სტუდენტებისათვის ხელმიუწვდომელია ენის შესაძლო არცოდნის გამო, ხოლო მეორე მხრივ, არის ფართო სამეცნიერო წრეში არაღიარებული ინფორმაციის შემცველი. ასეთებია: www.krugosvet.ru და http://www.rsuh.ru/article.html?id=398

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, არგუმენტირებული ნაშრომის შექმნის უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის განსაზღვრული საგნის: “მეტყველების კულტურა: აკადემიური წერა”, სწავლება მოხდეს ელექტრონული პლატფორმის ჩართულობით, რომლითაც მოხდება ნაშრომის შემოწმება პლაგიატის ამომცნობი სისტემით.

- სასურველია, სასწავლო კურსებში მოცემული სავალდებულო და არჩევითი ლიტერატურის მოცულობა შეესაბამებოდეს სტუდენტის კვირეულ დატვირთვას.
- სასწავლო კურსი “ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა” ამოღებული იყოს პროგრამიდან, რადგან განკუთვნილია პედაგოგიკის დარგისათვის და არ შეესაბამება ქართული ფილოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	☐	☒	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები არის სამართლიანი, გამჭვრივალე, საჯარო და ყველა დაინტერესებული პირისათვის ხელმისაწვდომი. დაშვების წინაპირობები განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობისა და პროგრამის სპეციფიკის შესაბამისად. ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას; პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელიც ჩაირიცხება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	☒	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფს კურსდამთავრებულს შესძინოს სისტემური ცოდნა ფილოლოგიის დარგში. გარდა ამისა, უვითარებს ბაკალავრიატის სტუდენტს პრაქტიკულ და კვლევით უნარებს.

პროგრამაში განსაზღვრულია პრაქტიკული კომპონენტი, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს სტუდენტის პროფესიულ ზრდას და მისი პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას. პრაქტიკა ხორციელდება ორგანიზაციის ბაზაზე, რომელთანაც უნივერსიტეტს გაფორმებული

აქვს შესაბამისი მემორანდუმი ან ხელშეკრულება. ასევე, პრაქტიკა ხორციელდება უნივერსიტეტის სკოლის ფარგლებში არსებულ ჰუმანიტარულ სახელოსნოში. პროფესიული პრაქტიკის თვალსაზრისით, ასევე, პროგრამის მიზნებიდან, შედეგებიდან და პროგრამით განსაზღვრული დასაქმების სფეროდან გამომდინარე, სასურველია, სტუდენტებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, პრაქტიკა გაიარონ კულტურის სფეროში, საგამომცემლო და მასობრივი ინფორმაციის დაწესებულებებში, სამეცნიერო-კვლევითი პროფილის მქონე ორგანიზაციებშში და სხვ.

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში სავალდებულო კომპონენტია საბაკალავრო ნაშრომი, რომელიც მოიცავს 9 კრედიტს, ან ჯგუფური პროექტი, რომელიც შედგება 6 კრედიტისაგან. საბაკალავრო ნაშრომიც და ჯგუფური პროექტიც წარმოადგენს წერილობით ნაშრომს. ორივე მათგანი აღწერილია შესაბამის სილაბუსებში. უნივერსიტეტში ვიზიტის დროს ექსპერტები გაეცნენ სტუდენტთა საბაკალავრო ნაშრომებს და ჯგუფურ პროექტებს. აღნიშნულ კომპონენტებზე ყურადღება გამახვილდა ინტერვიუს დროსაც. უნივერსიტეტმა მიუთითა, რომ სტუდენტები ხშირად მონაწილეობენ სამეცნიერო კონფერენციებში, აღნიშნული დაადასტურეს კურსდამთავრებულებმა და სტუდენტებმაც. უნივერსიტეტში გამოიცემა სტუდენტური სამეცნეირო კრებული "სტუდენტური ალმანახი", სადაც იბეჭდება სტუდენტების სამეცნიერო ნაშრომებიც და მხატვრული ნაწარმოებებიც. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ლიბერალური განათლების სკოლის ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტთა მონაწილეობით მომზადდა რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი: „ქართული ენის ანტონიმთა მოკლე ლექსიკონი", რომელიც პირველი ამ სახის ნაშრომია საქართველოში (შემდგენელი – ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სტუდენტი ნ. ტყემალაძე); „აზერბაიჯანული ფრაზეოლოგიზმები ქართულთან მიმართებით" – ასევე პირველი ამ სახის ნაშრომი (შემდგენელი – ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სტუდენტი ნ. გასანოვი); ითარგმნა დანტე ალიგიერის „ღვთაებრივი კომედიის" პირველი ნაწილი – „ჯოჯოხეთი" (იტალიურიდან თარგმნა ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სტუდენტმა– ს. ჩემინავამ).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა;
- სასწავლო კურსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- საბაკალავრო ნაშრომები;
- კრებული – „სტუდენტური ალმანახი".
- წიგნი – „ქართული ენის ანტონიმთა მოკლე ლექსიკონი".
- თარგმანი – დანტე ალიგიერის „ღვთაებრივი კომედია" – „ჯოჯოხეთი"(მზადდება მეორე ნაწილიც).
- წიგნი –„აზერბაიჯანული ფრაზეოლოგიზმები ქართულთან მიმართებით";

- წიგნი – „ქართული ენის ოპოზიციურ წყვილთა (ოპონიმთა) ლექსიკონი“;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- პროგრამის მიზნებიდან, შედეგებიდან და პროგრამით განსაზღვრული დასაქმების სფეროდან გამომდინარე, სასურველია, სტუდენტებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, პრაქტიკა გაიარონ კულტურის სფეროში, საგამომცემლო და მასობრივი ინფორმაციის დაწესებულებებში, სამეცნიერო-კვლევითი პროფილის მქონე ორგანიზაციებში და სხვ.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	☒	☐	☐	☐

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის მეთოდები შეესაბამება საბაკალავრო საფეხურს, არის სტუდენტზე ორიენტირებული და შეესაბამება ცალკეული სასწავლო კურსის შინაარსს და სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსებში გამოყენებულია შემდეგი მეთოდები: ლექცია, სემინარი,

პრაქტიკული მეცადინეობა, სასწავლო პრაქტიკა, დისტანციური სწავლება. ასევე, კონკრეტულ სასწავლო კურსებში გამოყენებულია წიგნზე მუშაობის მეთოდი, ვერბალური ახსნა-განმარტებითი მეთოდი, დისკუსია-დებატების მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი და სხვ. მეთოდთა ერთობლიობა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის სწავლა-სწავლების მეთოდების ჩამონათვალში ფიქსირდება დისტანციური სწავლების მეთოდი. გამომდინარე იქიდან, რომ წარმოდგენილი მეთოდით საგანმანათლებლო პროცესის წარმართვა საქართველოს კანონდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით დაუშვებელია და მხოლოდ შესაძლებელია გამონაკლის შემთხვევაში (თუ კურსი თეორიული ხასიათისაა და განმახორციელებელი პირი იმყოფება საზღვარგარეთ), მისი მითითება პროგრამაში, როგორც სწავლების ერთ-ერთი აქტიური მეთოდის, არ არის რელევანტური. სასურველია, პროგრამის სწავლა-სწავლების მეთოდების ჩამონათვალიდან დაწესებულებამ ამოიღოს დისტანციური სწავლების მეთოდი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა;
- პროგრამის სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პროგრამის სწავლა-სწავლების მეთოდების ჩამონათვალიდან დაწესებულებამ ამოიღოს დისტანციური სწავლების მეთოდი.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	☒	☐	☐	☐

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დონე ფასდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის თანახმად.

პირდაპირი შეფასების მეთოდებია: წერითი გამოცდა, ზეპირი გამოკითხვა, პროექტი, პორტფოლიო, თეზისი, პრეზენტაცია, იმიტირებული პროცესი და სხვა. არაპირდაპირი შეფასების მეთოდებია: დამსაქმებლების /კურსდამთავრებულების/ სტუდენტების გამოკითხვა, შედარება მსგავს ინსტიტუციებთან, კურიკულუმის ანალიზი და სხვ.

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტების სწავლის შეფასება მიმდინარეობს 100 ქულიანი სისტემით. ქულათა გადანაწილება ხდება შემდეგი კომპონენტების შესაბამისად: მიმდინარე შეფასებები, დამოუკიდებელი მუშაობის შეფასება, სემესტრული შეფასება, საბოლოო გამოცდის შეფასება. შეფასების მექანიზმი შედგება სხვადასხვა კომპონენტისაგან: ტესტი, ესეს დაწერა, პრეზენტაცია და სხვა. შეფასების თითოეულ ფორმას აქვს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი: დასკვნით გამოცდამდე სტუდენტმა უნდა დააგროვოს შუალედური შეფასების მინიმალური – 25 ქულა, ხოლო ფინალურისა –16. კრედიტების მინიჭება ხდება შეფასებების სხვადასხვა ფორმის გამოყენების საფუძველზე.

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემა შედგება ხუთი სახის დადებითი და ორი სახის უარყოფითი შეფასებებისგან.

ხუთი სახის დადებითი შეფასება: (A) ფრიადი – 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა; (C)კარგი – 71-80 ქულა; (D)დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა; (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფითი შეფასება: (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც იმას ნიშნავს, რომ სტუდენტს მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა (დამოუკიდებელი მუშაობით) დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F)ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს იმას, რომ სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი თავიდან აქვს შესასწავლი; (FX)-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში; სტუდენტის საბოლოო რეიტინგის დასადგენად და მის წასახალისებლად სასწავლო პროცესის

დასრულებისას გამოითვლება კუმულატიური ქულა, რომელიც გამოითვლება ყოველი სემესტრის ბოლოს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საბაკალავრო ნაშრომის შეფასება, შესაბამისი სილაბუსის მიხედვით ხდება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც განაწილებულია შემდეგნაირად: შუალდური შეფასების ფარგლებში ხელმძღვანელი აფასებს საბაკალავრო ნაშრომს 45 ქულით, რეცენზენტი - 15 ქულით, ხოლო დასკვნითი შეფასების 40 ქულა იწერება კომისიის მიერ. აღნიშნული შეფასების სისტემა გარკვეულწილად საჭიროებს ცვლილებას, კერძოდ კი, თემის ხელმძღვანელის მიერ 45 ქულით სტუდენტის შეფასება, ვფიქრობთ, წარმოშობს გარკვეულ რისკებს შეფასების ობიექტურობის კუთხით. შესაბამისად, რეკომენდებულად მიგვაჩნია გაიზარდოს რეცენზენტის ქულობრივი წილი შეფასებაში, ხოლო ხელმძღვანელის ქულობრივი წილი დაყვანილი იქნას მინიმუმამდე ან გაუქმდეს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა;
- ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია გაიზარდოს რეცენზენტის ქულობრივი წილი შეფასებაში, ხოლო ხელმძღვანელის ქულობრივი წილი დაყვანილ იქნას მინიმუმამდე, ან გაუქმდეს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4 სტუდენტების შეფასება	☐	☒	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შპს "ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის" ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ლიბერალური განათლების სკოლის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშზე, სხვა დოკუმენტაციასა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დასტურდება, რომ სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია კონსულტაციები სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების, დასაქმების თაობაზე, ამასთან, ისინი იღებენ მხარდაჭერას კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

სასწავლო პროცესის მართვისა და მხარდაჭერის მიზნით, უნივერსიტეტში მოქმედებს სპეციალურად შექმნილი პროგრამული სისტემა "euni.gau.ge", რომლის საშუალებითაც წარმოებს სტუდენტთა რეგისტრაცია სასწავლო კურსებზე, აკადემიური მასალისა და სილაბუსების განთავსება და მათთვის ელექტრონულად მიწოდება, მათ მიერ მიღებული შეფასებებისა და დაგროვილი კრედიტების შემოწმება. აღნიშული პლატფორმა გამოიყენება ასევე, როგორც საკომუნიკაციო საშუალება სტუდენტებისთვის მიმდინარე სიახლეების გაცნობის მიზნით.

შპს “ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის” ფილოლოგიის პროგრამაზე სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა, წლის განმავლობაში კონტაქტი ჰქონდეთ სასწავლო კომპონენტის ხელმძღვანელებთან, მიიღონ მათგან საჭირო ინფორმაცია და უკუკავშირი აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად.

მოქმედი აკრედიტაციის სტანდარტების შინაარსიდან გამომდინარე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სტუდენტებს უნდა სთავაზობდეს საკონსულტაციო მომსახურებას, რაც ხელს შეუწყობს მათ განვითარებასა და სწავლის უკეთესი შედეგების მიღწევას. ამასთან, სტუდენტები ინფორმირებულნი უნდა იყვნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეთავაზებული საკონსულტაციო სერვისების მიღების შესაძლებლობის თაობაზე. გარდა ამისა, საკონსულტაციო პროცესში, მიზანშეწონილია, როგორც ადმინისტრაციული, ისე აკადემიური პერსონალის ჩართვა. როგორც სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, ისინი ამ მხრივ არ არიან შეზღუდულნი და ეძლევათ შესაძლებლობა, მიიღონ კონსულტაცია ნებისმიერ დროს, არა წინასწარ დაგეგმილ საათებშიც. აღნიშულს მოწმობს გამოკითხვის შედეგები, რომლის მიხედვით სტუდენტების უმრავლესობისთვის მაქსიმალურად ხელმისაწვდომია კურსის ხელმძღვანელებთან კომუნიკაცია.

გარდა აღნიშნულისა, ორ კვირაში ერთხელ დაწესებულია ე.წ “დეკანის საათი”, რომლის ფარგლებშიც დეკანი ხვდება სტუდენტებს, აძლევს განმარტებებს უნივერსიტეტში სწავლის და სწავლების სპეციფიკის, შეფასების მეთოდების არსის, აკადემიური შედეგების გაუმჯობესების, ღონისძიებების, კონფერენციებისა და მათთვის საინტერესო სხვა თემების შესახებ.

შპს “ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის” სტუდენტებთან კიდევ ერთი ეფექტური საკომუნიკაციო საშუალებაა ვებგვერდი, სადაც განთავსებულია დეტალური ინფორმაცია უნივერსიტეტში ჩარიცხვის, სწავლისა და იქ არსებული სასწავლო გარემოს შესახებ, აგრეთვე მარეგულირებელი დოკუმენტები და ინსტრუქციები, რომლებიც სტუდენტებს ეხმარება სხვადასხვა აქტივობის განხორციელებაში, სწავლის დამოუკიდებლად ორგანიზებასა და აკადემიური შედეგების გაუმჯობესებაში.

ფაკულტეტზე ყოველსემესტრულად იმართება სხვადასხვა კონფერენციები, სადაც სტუდენტები აქტიურად არიან ჩაბმულები სამეცნიერო საქმიანობაში. საკონფერენციო თემაზე მუშაობისას კი კვალიფიციური კონსულტაციების მიღების შესაძლებლობა აქვთ პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალისგან.

უნივერსიტეტი ყურადღებით ეკიდება სტუდენტების პოზიციებს, ინიციატივებს და ითვალისწინებს მათ პროგრამების გაუმჯობესების მიზნით. სასწავლო კურსებთან და ლექტორებთან მიმართებაში პერიოდულად ტარდება კვლევები, რა დროსაც კითხვარების შევსება ანონიმურია და ნებაყოფლობითი.

მეტად კოორდინებული და სტუდენტზე მორგებული გარემოს შესაქმნელად, უნივერსიტეტში გამოყოფილია სკოლის აკადემიური მენეჯერის პოზიცია, რომლის ძირითადი საქმიანობა ეხება სტუდენტთა პირად საქმეების წარმოებას. აკადემიური მენეჯერი სტუდენტებს ინფორმაციას აწვდის სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე, ახორციელებს სტუდენტთა რეგისტრაციას, წარმართავს მათთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესს, ადგენს მისი საკურატორო ჯგუფის სასწავლო პროცესის ცხრილს

შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ გადაცემული სასწავლო კურსების თანახმად. ახორციელებს მისი შესრულების მონიტორინგს და ა.შ.

უნივერსიტეტი სხვადასხვა მეთოდით უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების, დასაქმებისა და კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ. აქტიურად ხორციელდება კომუნიკაცია ელექტრონული ფოსტისა და სტუდენტური პორტალის მეშვეობით. სტუდენტური სერვისის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია -კარიერის სამსახური, რომლის მიზანია ორგანიზება გაუწიოს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა სტაჟირებას სხვადასხვა დაწესებულებებში, დაეხმაროს მათ დამსაქმებლებთან კომუნიკაციაში და მოაწყოს ტრენინგები კარიერული განვითარების საკითხებზე. როგორც სტუდენტებთან ინტერვიუს დროის გაირკვა, ისინი მუდმივად იღებენ შეტყობინებებს დასაქმების შესაძლებლობებთან დაკავშირებით შემოთავაზებებს კარიერის სამსახურიდან, მათ შორის, ელექტრონული ფოსტის შეშვეობითაც.

საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების გათვალისწინებით, პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები ორიენტირებულია თანამედროვე შრომის ბაზარზე არსებულ საჭიროებებზე, თუმცა, სასურველია, საბაკალავრო პროგრამით განსაზღვრული სავალდებულო და არჩევითი საგნები მაქსიმალურად ორიენტირებული იყოს პრაქტიკულ კომპონენტზე და სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებაზე.
ფაკულტეტი აქტიურად ცდილობს შეძლებისდაგვარად შეიმუშაოს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, სადაც მოკლევადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში დაგეგმილია სტუდენტთა სასწავლო მობილობა, პარტნიორ უნივერსიტეტებთან ურთიერთობების შემდგომი გაღრმავება და მათთან ახალი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება.

უნივერსიტეტი თანამშრომლობს დამსაქმებელ ორგანიზაციებთან და ამ მიზნით, გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები, მათ შორის, კერძო სკოლებთან, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების შემდგომ პროფესიულ განვითარებას სტაჟირებების გავლისა და დასაქმების გზით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა;
- მემორანდუმები და ხელშეკრულებები პარტნიორ უნივერსიტეტებთან, დამსაქმებლებთან;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- სასწავლო საგნების სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამდააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, რომ გაიზარდოს პარტნიორი უნივერსიტეტებისა და დაწესებულებების რაოდენობა.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	☒	☐	☐	☐

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	
მაგისტრანტების/დოქტორანტების რაოდენობა	

თანაფარდობა	

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	☐	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და სხვა დოკუმენტენზე დაყრდნობით, დგინდება, რომ აღნიშნულ პროგრამას ახორციელებენ მაღალი კვალიფიკაციის მქონე პირები; მათი პროფესიული კომპეტენცია სავსებით შეესაბამება სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელ ნიშნულებს. და მაინც, პროგრამაში ჩართულ პერსონალს შორის ფიქსირდება რამდენიმე აფილირებული ასოცირებული პროფესორი, რომელთა პირად საქმეებში წარმოდგენილი არც რომელიმე საბუთით და არც მათი CV-ებით არ დასტურდება, რომ აქვთ დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. ამასთან, აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირად მონაცემებში არ გვხვდება უახლესი კვლევებისა და პუბლიკაციების შესახებ ჩანაწერები.

რაც შეეხება რაოდენობრივ მონაცემებს, იქნება ეს აფილირებული და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა (18/24), მათი რაოდენობის შეფარდება სტუდენტების რაოდენობასთან, თუ მათი დენადობისა და შენარჩუნების კოეფიციენტები, ნამდვილად განაპირობებს პროგრამის მდგრადობას.

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი არის დარგის ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტი საქართველოში; მისი სამეცნიერო ნაყოფიერება და

ეფექტიანობა უდავოდ სამაგალითოა, რაც ასახულია კიდეც პროგრამის სტრუქტურასა და შინაარსში. ბუნებრივია, რომ იგი უშუალოდ იყო ჩართული პროგრამის შემუშავებასა და გაუმჯობესებაში; ამასთანავე, როგორც პროგრამის განმახორციელებელ პირებთან, ისე სტუდენტებთან მუდმივი კომუნიკაციის მეშვეობით იგი უზრუნველყოფს მის შემდგომ განვითარებასაც.

როგორც ადმინისტრაციასთან, ასევე სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები სარგებლობენ სათანადო დახმარებით საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით; ამას უზრუნველყოფაშესაბამისი ადმინისტრაციული პერსონალი, განსაკუთრებით, სკოლის დეკანი და პროგრამის აკადემიური მენეჯერი.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	**პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[6]**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[7]**	**მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სულ აკადემიური პერსონალი	**42**			**18**
- პროფესორი	3			3
- ასოცირებული პროფესორი	15			15
- ასისტენტ-პროფესორი				
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	24			–
სამეცნიერო პერსონალი				–

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის აღწერილობა (კურიკულუმი);
- პროგრამის სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ქართული ფილოლოგიის პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის სია და პირადი საქმეები;
- ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის დებულება;

[6] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[7] ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

- საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ;
- სააკრედიტაციო ვიზიტისას გამართული გასაუბრებების შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პროგრამის განხორციელებაში მონაწილე ყველა აკადემიური თანამდებობის პირი, რომელიც კითხულობს ქართული ფილოლოგიის დარგობრივ სასწავლო კურსებს, ფლობდეს შესაბამის აკადემიურ ხარისხს, ან/და უდასტურდებოდეს უახლესი კვლევები და პუბლიკაციები დარგთან მიმართებით.
- სასურველია, განახლდეს აკადემიური და მოწვეული პირების პირადი მონაცემები უახლესი კვლევებით.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.1 ადამიანური რესურსი	☐	☒	☐	☐

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

არ ფასდება

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომების ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით	მათ შორის აფილირებული

		დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები	აკადემიური პერსონალი
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა			
- პროფესორი			
- ასოცირებული პროფესორი			
- ასისტენტ-პროფესორი			
მოწვეული პერსონალი			_
სამეცნიერო პერსონალი			_

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	☐	☐	☐	☐

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი რეგულარულად აწარმოებს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებას. შეფასების მიზანია – ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის თანამშრომლებს საკუთარი ფუნქციების ეფექტურად წარმოჩენასა თუ ინდივიდუალურ-საუნივერსიტეტო მიზნებისა და ამოცანების თანხვედრილად განხორციელებაში.

აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებისას გათვალისწინებულია შემდეგი სამიზნე ნიშნულები: ·განსაზღვროს უნივერსიტეტის აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის მიერ სწავლებისა და კვლევის პროცესში დასახული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებისათვის საჭირო რესურსები; დროულად გამოავლინოს პერსონალის პოტენციური სირთულეები პროფესიული მიზნების განხორციელების პროცესში და განსაზღვროს მათი მოგვარების სტრატეგიები; შეაფასოს უნივერსიტეტის პერსონალის საქმიანობა სწავლების, კვლევისა და ადმინისტრაციულ/ორგანიზაციულ სფეროებში; შეაფასოს უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობა; გამოავლინოს პერსონალის შესაძლებლობები და ხელი შეუწყოს მათ შემდგომ განვითარებას; დაადგინოს პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროებანი; პერსონალის საქმიანობის სისტემატური მონიტორინგის საფუძველზე გამოავლინოს მათი ძლიერი და სუსტი მხარეები; ხელი შეუწყოს პერსონალის კმაყოფილებისა თუ მოტივაციის ზრდას და დაკისრებულ მოვალეობათა შესრულების ხარისხის გაუმჯობესებას; გამოავლინოს მათი წვლილი უნივერსიტეტის საზოგადოებრივი მისიის განხორციელებაში; შეაფასოს უნივერსიტეტის პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი კავშირები და საქმიანობა, მათი წვლილი სამეცნიერო კვლევის კომერციალიზაციის საკითხებში.

უნივერსიტეტი ასევე აფასებს აკადემიური, მოწვეული და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობას. აღნიშნული კი ხორციელდება კვლევის შედეგების გამოქვეყნების საფუძველზე. გათვალისწინებულია დარგობრივი სპეციფიკა, რის გამოც დეკანის მიერ შეიძლება მოწვეულ იქნეს დროებითი პროფესიული შეფასების კომისია, რომლის შემადგენლობაშიც თანამდებობის მიხედვით გათვალისწინებული იქნებიან: დეკანი, სკოლაში მოქმედი ყველა კვლევითი ცენტრის/ინსტიტუტის დირექტორი, სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი. კომისიის წევრი ასევე შეიძლება იყოს დარგის აღიარებული სპეციალისტი.

უნივერსიტეტში აფილირებული აკადემიური პერსონალისა და სამეცნიერო პერსონალის განვითარების მიზნით უნივერსიტეტის მხრიდან ხორციელდება მათი წახალისება და ხელშეწყობა სხვადასხვა სასწავლო და სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობისათვის.

უნივერსიტეტის აკადემიურ, სამეცნიერო და მოწვეულ პერსონალს უტარდება ტრენინგები. დაწესებულება მიუთითებს, რომ ტრენინგები ტაარდებოდა აკრედიტაციის ახალი სტანდარტების, ონლაინ რეჟიმში მუშაობის, პროფესორთა სამეცნიერო და აკადემიური საქმიანობის მხარდაჭრისა და წამახალისებელი ღონისძიებების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ხელშეკრულებები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	☒	☐	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და სხვა დოკუმენტენზე დაყრდნობითა და სააკრედიტაციო ვიზიტისას ჩატარებული გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის მუშაობის შესაფასებლად შემუშავებულია სამიზნე ნიშნულები, რაც უდავოდ დადებით ფაქტორს წარმოადგენს მათი მუშაობის შედეგების ობიექტური ანალიზისათვის. ამასთანავე, უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებულ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ლიბერალური განათლების სკოლის 2021/2022 სასწავლო წლის ბიუჯეტში შეტანილია ისეთი მნიშვნელოვანი პუნქტები, როგორიცაა „2.2 კვლევითი და ინტერნაციონალიზაციის ხარჯი“ (მასში შესულია ქვეპუნქტები: 2.2.1 „ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციების ორგანიზება; ტრენინგები, სამუშაო მივლინებები, კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები“; 2.2.2 „ინტერნაციონალიზაცია/მივლინება; გასვლითი პროექტები“) და 2.5 „აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის განვითარების ხარჯი“ (მასში შესულია ქვეპუნქტი 2.5.1. „აკადემიური პერსონალის განვითარების ხელშეწყობა“). ზემოაღნიშნული ორგანიზაციული და ფინანსური პირობები უზრუნველყოფს კვლევებს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასებისა და კმაყოფილების შესახებ; მოგვიანებით ხდება ამ შედეგების გაანალიზება, რაც გამოიყენება აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის. ამ აქტივობებს რეგულარული ხასიათი აქვს, რაც დასტურდება როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციით (კმაყოფილების კვლევის წლიური ანგარიში; ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; პერსონალის საქმიანობისა და კმაყოფილების კვლევის შედეგები და მისი ანალიზი), ასევე სააკრედიტაციო ვიზიტისას გამართული გასაუბრებებით.

აღსანიშნავია, რომ ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში აქტიურად მუშაობენ აქ არსებული სამეცნიერო ცენტრები. ენისა და კონგიტიური მეცნიერებების სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა 2021-2022 წლებში ჩაატარა 12 ვებინარი, რომელთა მიზანი გახლდათ მეცნიერული კვლევის განვითარების ხელშეწყობა. არანაკლებ ნაყოფიერია ენისა და კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, რომელიც რეგულარულად ატარებს სამეცნიერო კონფერენციებს ენისა და კულტურის და სემიოტიკის საკითხებზე. ღირსსაცნობია ცენტრის მიერ ზემოაღნიშნული კონფერენციების შედეგად გამოქვეყნებული მაღალი სამეცნიერო დონის კრებულები („ენა და კულტურა“) და სამეცნიერო ჟურნალი „სემიოტიკა.“
ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალვრო პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს მრავალი პირობა აქვს პროფესიული განვითარებისა და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის საწარმოებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ლიბერალური განათლების სკოლის 2021/2022 სასწავლო წლის ბიუჯეტი;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- კმაყოფილების კვლევის წლიური ანგარიში;
- ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- პერსონალის საქმიანობისა და კმაყოფილების კვლევის შედეგები და მისი ანალიზი;
- სააკრედიტაციო ვიზიტისას გამართული გასაუბრებების შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

4.4 მატერიალური რესურსი	☒	☐	☐	☐

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სააკრედიტაციო პაკეტში წარმოდგენილია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ლიბერალური განათლების სკოლის ბიუჯეტი. მოცემული ბიუჯეტი ითვალისწინებს უსდ-ს მიერ საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სასწავლო და კვლევითი მიმართულებით გასაწევ ხარჯებს, მათ შორის, აკადემიური,

მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურების, კვლევითი აქტივობების (სამეცნიერო კონფერენციები, ტრენინგები, სემინარები, სამუშაო მივლინებები და სხვ.), ინტერნაციონალიზაციის, აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების, სტუდენტების კულტურული თუ სხვა მხარდამჭერი სერვისების უზრუნველყოფისთვის გასაწევ ხარჯებს და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის საფასური შეადგენს 2350 ლარს. თვითშეფასების ანგარიშზე თანდართული დოკუმენტაცია (მაგ., თვითშეფასების რაოდენობრივი მაჩვენებლების დოკუმენტი) ცხადჰყოფს, რომ საგანმანათლებლო პროგრამა მასზე ჩარიცხული კონტინგენტის რაოდენობის გათვალისწინებით არ არის მომგებიანი, თუმცაღა უნივერსიტეტის ადმინისტრაცია პროგრამის მნიშვნელობიდან და არამატერიალური ღირებულებიდან გამომდინარე აცხადებს მზადყოფნას, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამა დააფინანსოს საუნივერსიტეტო ბიუჯეტიდან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- სკოლის ბიუჯეტი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.5 პროგრამის/ ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის	☒	☐	☐	☐

ფინანსური მდგრადობა				

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შპს ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა განისაზღვრება როგორც უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული შიდასაუნივერსიტეტო რეგულაციებით, ისე უმაღლესი განათლების სივრცეში არსებული ქართული კანონმდებლობითა და საერთაშორისო გამოცდილებით. უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებს ხელმძღვანელობს ცენტრალური ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, უნივერსიტეტის მართვის ერთ-ერთი ორგანო, რომელიც გეგმავს და მონაწილეობას იღებს როგორც საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო და კვლევითი პროცესების, ისე საუნივერსიტეტო სერვისების შეფასებაში. სამსახურის დებულების თანახმად საქმიანობის ძირითადი სფეროებია: საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში უნივერსიტეტის ინტეგრაციის ხელშეწყობა; სწავლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლების

ხელშეწყობა; აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შეფასება; სწავლებისა და კვლევის პროცესებში სტუდენტთა ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით საუნივერსიტეტო პოლიტიკის შეფასება; საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის განვითარების შესაძლებლობების ხელშეწყობა; ავტორიზაციისა და აკრედიტაციისთვის თვითშეფასების პროცესის ორგანიზება და სხვ.

საკუთრივ საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების ხარისხის შეფასების პროცედურები და მექანიზმები აღწერილია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტსა და საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში. აღნიშნული დოკუმენტების თანახმად უნივერსიტეტი ორიენტირებულია კონკურენტუნარიანი, დასაქმების ბაზარზე ორიენტირებული აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების შექმნაზე დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. ამავე მიზნით, ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამისთვის შექმნილია პროგრამის განვითარების კომისია, რომლის მუდმივმოქმედი წევრებიც არიან ხარისხი უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი, პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი და სხვა დაინტერესებული პირი (შესაბამისი პროფილის არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელ, უცხოელი ექსპერტი, პროფესიული ორგანიზაციის წარმომადგენელ და სხვ.).

შიდასაუნივერსიტეტო რეგულაციების თანახმად უნივერსიტეტში დანერგილია ხარისხის უზრუნველყოფის უწყვეტი სისტემა PDCA ციკლის პრინციპის გათვალისწინებით, რაც გულისხმობს პროცესების დაგეგმვას, განხორციელებას, შემოწმებასა და განვითარებას. ხოლო, საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და შეფასების პროცესში ყველა დაინტერსებული მხარის თანამონაწილეობა ძირითადად უზრუნველყოფილია სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვებით და სამუშაო ჯგუფებში მუშაობით.

თვითშეფასების ანგარიშით, თანდართული დოკუმენტებითა და ინტერვიუს შედეგებით იკვეთება, რომ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება-განახლების პროცესში აქტიურად იყო ჩართული თვითშეფასების ჯგუფი, რომლის წარმომადგენლობაც მოიცავდა ადმინისტრაციულ, აკადემიურ პერსონალს, სტუდენტსა და დამსაქმებელს. თვითშეფასების ჯგუფმა განხორციელა რამდენიმე შეხვედრა, რომელთა ფარგლებში განიხილეს პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, თვითშეფასების ანგარიშის შედგენისთვის საჭირო მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების საკითხები და სხვ. გასაუბრების შედეგებით დასტურდება თვითშეფასების ჯგუფის აქტიური ჩართულობა პროგრამის შეფასების პროცესში.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პროგრამის ხელმძღვანელი და აკადემიური პერსონალი ძირითადად იცნობს პროგრამისა და მისი სწავლის შედეგების შეფასების როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ მეთოდებს. პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად იყო ჩართული პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ ხარისხის

უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრონლობითა და მისი უშუალო ჩართულობით მოხდა პროგრამის შეფასების მექანიზმების შემუშავება და შემდგომში პროგრამის შეფასება, ფიქსირდება ისეთი გასაუმჯობესებელი მხარეები, როგორიცაა სწავლის შედეგების ჭარბი რაოდენობა (მაგ., პირველ და მეორე სწავლის შედეგში მოცემულია 10 და 6 ქვესწავლის შედეგი), შინაარსობრივი გადაფარვების სწავლის შედეგებს შორის, კურიკულუმის რუკაში კი, სადაც მოცემულია თითოეულ სწავლის შედეგზე გამსვლელი სავალდებულო სასწავლო კურსი შესაბამისი დონის მითითებით (I(NTRODUCTION) - გაცნობა, E(XPANSION) - გაფართოება - გაღრმავება, R(EINFORCEMENT) - განმტკიცება) საჭიროებს გადახედვას, განსაკუთრებით კი, ვფიქრობთ დასაზუსტებელია მე-5-7-8-9-10 სწავლის შედეგზე გამსვლელი კურსები (დონეებით). ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია და შესაბამისად რეკომენდებულია, ერთის მხრივ, პროგრამის სწავლის შედეგების მოდიფიცირებისთვის, ხოლო მეორეს მხრივ, მათი შეფასების მიზნით შემუშავებულ დოკუმენტებში არსებული შინაარსობრივი უზუსტობებისა და შეუსაბამობების გასწორების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელდეს სამუშაო შეხვედრები პროგრამის ხელმძღვანელთან და შედეგებზე გამსვლელი სასწავლო კურსების განმახორციელებლებთან, რათა მოხდეს არსებული ხარვეზების გამოსწორება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საუნივერსიტეტო გამოკითხვები და შესაბამისი ანგარიშები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, ერთის მხრივ, პროგრამის სწავლის შედეგების მოდიფიცირებისთვის, ხოლო მეორე მხრივ, მათი შეფასების მიზნით შემუშავებულ დოკუმენტებში არსებული შინაარსობრივი უზუსტობებისა და შეუსაბამობების გასწორების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელდეს სამუშაო შეხვედრები პროგრამის ხელმძღვანელთან და შედეგებზე გამსვლელი

სასწავლო კურსების განმახორციელებლებთან, რათა მოხდეს არსებული ხარვეზების გამოსწორება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.1 შიდა ხარისხის შეფასება	☐	☒	☐	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სააკრედიტაციო პაკეტში წარმოდგენილი დოკუმენტებით, თვითშეფასების ანგარიშითა და გასაუბრებებით დასტურდება, რომ პროგრამა იყენებს ხარისხის გარე უზრუნველყოფის მექანიზმებს, მათ შორის, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებულ აკრედიტაციის სტანდარტებს, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ გაცემულ რეკომენდაციებსა და კოლეგიალურ შეფასებას. წარმოდგენილი მტკიცებულებების თანახმად, გარე შეფასების მიზნით პროგრამის მთლიანი პაკეტი გადაეგზავნა ოთხ გარე შემფასებელს სხვადასხვა ორგანიზაციასა თუ საგანმანათლებლო დაწესებულებაში. შესაბამისად, პროგრამა განხილულ იქნა დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიერ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტიდან, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტიდან, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან და საერთაშორისო აკადემია ლოგოსიდან.

აღსანიშნავია, რომ გარე შემფასებლების მიერ პროგრამა და ამ პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტისა თუ აკადემიური პერსონალის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები შეფასებულია დადებითად. აქვე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მეტწილად გარე შემფასებელთა დასკვნები ატარებს მხარდამჭერი წერილების ხასიათს და უმეტეს

მათგანში არ ჩანს საგანმანათლებლო პროგრამისა თუ სასწავლო კურსების დეტალური შეფასება. სასურველია, გარე შემფასებლების მიერ სამომავლოდ პროგრამის განვითარებისა და დარგისთვის რელევანტური, თუნდაც განსხვავებული ან/და ორიგინალური ხედვების ასახვის მიზნით პროგრამა, მისი მიზნები, სწავლის შედეგები, კურიკულუმი, სასწავლო კურსები და მათი განმახორციელებელი პერსონალის რეზიუმეები შესწავლილ იქნას უფრო დეტალურად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტები;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- გარე შემფასებლის დასკვნა;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, გარე შემფასებლების მიერ სამომავლოდ პროგრამის განვითარებისა და დარგისთვის რელევანტური, თუნდაც განსხვავებული ან/და ორიგინალური ხედვების ასახვის მიზნით პროგრამა, მისი მიზნები, სწავლის შედეგები, კურიკულუმი, სასწავლო კურსები და მათი განმახორციელებელი პერსონალის რეზიუმეები შესწავლილ იქნას უფრო დეტალურად.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2 გარე ხარისხის შეფასება	☒	☐	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების,

კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტში ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგი და პერიოდული შეფასება დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების მიზანია პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასება, სასწავლო და კვლევითი პროცესის, ადამიანური რესურსის, მატერიალური ბაზის, საბიბლიოთეკო რესურსების, სტუდენტთა და პერსონალის მხარდამჭერი სერვისების შეფასება სტუდენტთა, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული პირების მონაწილეობით.

პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების ფარგლებში დაწესებულება ახორციელებს სხვადასხვა აქტივობას, მათ შორის: ხდება პროგრამის დადარება დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტთან (არსებობის შემტხვევაში); პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესში მიმდინარეობს შრომის ბაზრის საჭიროებები დადგენა და მოთხოვნების ასახვა; ხორციელდება სტუდენტთა, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვები; განიხილება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგები; მიმდინარეობს უწყვეტ რეჟიმში სასწავლო და საგამოცდო პროცესის მონიტორინგი; უნივერსიტეტის პრეზიდენტის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ 3 წელიწადში ერთხელ ხორციელდება პროგრამის შეფასება, ხდება შეფასების შედეგების განხილვა და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი შრომის ბაზრის კვლევა სიღრმისეულ ანალიზს არ გვთავაზობს ქართული ფილოლგიის დარგის კონტექსტის გათვალისწინებით. ბაზრის კვლევაში მოცემულია დასაქმების ზოგადი სტატისტიკა ქვეყანაში, ასევე, შრომის ანაზღაურების მოცულობის სტატისტიკა, დასაქმებულთა უმაღლესი განათლების დონის შესახებ ინფორმაცია და სხვ. რაც შეეხება ქართული ფილოლოგიის კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკას, მათი დასაქმების პერსპექტივებს (იგულისხმება თუ რა პოზიციებზე საქმდებიან და როგორია მათი შრომის ანაზღაურება) ან რა კონკრეტული საჭიროებები უდგათ დამსაქმებლებს ამ პროგრამის კურსდამთარებულთა კვალიფიკაციასთან მიმართებით, არ ჩანს გამოკვეთილად. დოკუმენტში გაპარულია ე.წ. ტექნიკური ხარვეზიც (მოცემულია ინგლისური ფილოლოგიის კურსდამთარებულთა დასაქმების მაჩვენებელი დიაგრამის სახით). სასურველია, ჩატარდეს მეტად ჩაღრმავებული შრომის ბაზრის კვლევა, რაც პროგრამის გუნდს დაეხმარება დარგში არსებული თანამედროვე ტენდენციების და დამსაქმებლების საჭიროებების ასახვაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- გამოკითხვის შედეგები;
- შრომის ბაზრის კვლევა;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, ჩატარდეს მეტად ჩაღრმავებული შრომის ბაზრის კვლევა ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამისთვის, რაც პროგრამის გუნდს დაეხმარება დარგში არსებული თანამედროვე ტენდენციებისა და დამსაქმებლების საჭიროებების ასახვაში.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☐	☒	☐	☐
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	☒	☐	☐	☐
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☒	☐	☐	☐
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☒	☐	☐	☐
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☒	☐	☐	☐

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის
სახელი, გვარი, ხელმოწერა
ნინო პოპიაშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების
სახელი, გვარი, ხელმოწერა
ზაალ კიკვიძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა
ქრისტინე ჩიხლაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა
ნინო ხუბულია